VII კლასი

1) თვითმფრინავმა 1,5 საათში 810 კმ გაიარა. რა მანძილს დაფარავს იგი 2,2 საათში, თუ ფრენის სიჩქარე არ შეიცვლება.

2) ისრით მიუთითეთ შესაბამისობა ფიზიკურ სიდიდეებსა და მის შესაბამისს ერთეულებს შორის:

დრო	კილოგრამი
ფართობი	კილომეტრიც
მასა	წუთი
სიგრძე	ჰექტარი
მოცულება	ლიტრი

3) ორი ტურისტი ერთმანეთის შესახვედრად ერთდროულად გამოვიდა ორი პუნქტიდან, რომელთა შორის მანძილი 18 კილომეტრია. ერთის სიჩქარე 4კმ/სთ –იყო მეორის–5კმ/სთ. რამდენი საათის შემდეგ შეხვდებიან ისინი ერთმანეთს?

4) დედამიწა თავისი ღერძის ირგვლივ ერთ სრულ ბრუნს ასრულებს 24 საათში. გამოსახეთ ეს დრო წუთებსა და წამებში.

5) ოთახის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე შესაბამისად არის 5მ, 4მ, და 3მ. გამოთვალეთ ოთახის მოცულება, იატაკის ფართობი და პერიმეტრი.